ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47233394**
თარიღი:**05/12/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის (ამაღლება, სამება, ზომლეთი, ვანი) ზვიად წეროძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 15 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ამაღლების ადმინისტრაციული შენობა.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ზვიად წეროძე - მაჟორიტარი დეპუტატი (ამაღლება, სამება, ზომლეთი, ვანი);

ლაშა თოლორდავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ოთარ დოლიძე - მერის წარმომადგენელი ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში;

ვასილ ჩიჩუა - მერის წარმომადგენელის თანაშემწე სამების ადმინისტრაციულ ერთეულში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა გადასცა მაჟორიტარ დეპუტატს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „88-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა ზვიად წეროძემ ამომრჩვლებს (მოქალაქეებს) წარუდგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშობის შესახებ. აღნიშნა, რომ არის მუნიციპალიტეტის სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის წევრი, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი“. მან ყურადღება გაამახვილა საკრებულოს იმ კომისიების საქმიანობაზე, რომელის წევრიც ის არის. მან ისაუბრა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე. აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩართული 2023 წლის ბიუჯეტის შედგენაში, იმ პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტისათვის (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:

- ამაღლებაში მოსაწესრიგებელია შიდა გზები;

- სამებაში, მანთიძეების უბანში შესაკეთებელია გზა;

- გზა შესაკეთებელია ჩიჩუების უბანში;

- თეთრი ხრეშის ზემოთ გზა შესაკეთებელია;

- დაზიანებულია გზა ე.წ. ქვათირისა და მაჩაგის გზა;

- შესაკეთებელია ამირან დოლიძის ამოსასვლელი გზა;

- სარემონტოა ბიბლიოთეკის შენობა, დაზიანებულია სახურავი და მოსაწყობია ტექნიკური აღჭურვილებით(კომპიუტერი, ინტერნეტი).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ზვიად წეროძრემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი, მანვე მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი